თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერ. ჟურნალი

№ 11—1917

კვირა, მარტის 12

წლიწადი მეხუთე გამოცემისა	ფასი 15 კ.

აღმასრულებელი კომიტეტი

(რომელმაც ძველი მთავრობა დაამხო და ახალი აირჩია)

მ. როძიანკო (1), ნ. ჩხეიძე (2), ა. კერენსკი (9), ვ. შულგინი (10), პ. მილიუკოვი (3), მ. კარაულოვი (8), ა. კონოვალოვი (11), ი. დმიტრიუკი (5), რჟევსკი (7), ს. შიდლოვსკი (4), ნ. ნეკრასოვი (12), ვ. ლვოვი (6).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქენო! მხარი მიეცით ახალ მთავრობას დ ზურგი გაუმაგრეთ. გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!

ამხანაგებო!

დამფუძნებელ კრებას უნდა მოსთხოვოთ საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია!

მარტის 12.

რა მოხდა?

ფერიალდა წითელი დროშა! „ნეგბითი ლეთ-სათა“ ტახტზე ასული ძალთა ხადხასოა ჩამოძძნდა!

დამეხო რუსეთის თვითეპყრობელი მთავრობა,—ის მთავრობა, რომელიც ოურებელი უბედურება მოავლინა ქვეყანას!

დამეხო ხალხს სულთამხუთავი, გაუმძღარი სისხლის მწოველი.

დემოკრატიამ და ბურჟუაზიამ, მუშა ხალხმა და ჯარმა შესძლო ეს დიდებული გმირობა.

დიდება და უკვდავება მათ!

დიდიდან ქვეყანა თავისუფლად სუნთქავს!

ბორკილები ეხსნა იმათ, რომელნიც ხალხის განთავისუფლებას ცდილობდენ ბორკილებისაგან და ძველი მთავრობისაგან უსამართლოდ სდნებოდენ ციხის ჯურღმულებში.

შორს არა ის დრო, როდესაც მოწვეულ იქმნება დამფუძნებელი კრება. ეს კრება შეიმუშავებს ძირითად კანონებსა და ქვეყნის მართვა-გამგეობის წესებსა.

ჯერხნობით კი სხვენ ფოს სათავეში უდგას დროებითი მთავრობა.

ჩვენი გულითადი სალამი განახლებულ რუსეთსა და ხალხის ნდობით აღუსურვლ მის ახალ მთავრობას!

მოქ ლაქენო, ყველა თქვენ, ვინც ძველი წესით უკმაყოფილონი იყავით და ახალს შესტრფოდით, აბა, ახლიც, ფრიალებს წითელი დროშა და მისი მთავრობა გაგგებლობს: საბოლოოდ გავამარჯვებინოთ მას.

გაუმარჯოს ახალ რუსეთს!

გაუმარჯოს დამფუძნებელ კრებას!

გაუმარჯოს დემოკრატიას!

გაუმარჯოს საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიას.

ქართველ დემოკრატიას!

ამხანაგებო!

დიდ რუსეთთან შედარებით ჩვენს რიცხვითა და სამშობლოს სიერცით ერთს წვეთს წარმოვადგენთ ზღვაში.

მიუხედავთ ამისა ჩვენ ძლიერნი ვართ სულით.

ჩვენი სულის სიძლიერე იმდენად დიდია, რომ ჩვენისთანა პატარა ერს დიდი რუსეთის დროებით მთავრობაში თვისი წარმომდგენელი ჰყავს—კარლო ჩხეიძე.

ქართველებს სრული უფლება გვაქვს, ვიამაყოთ ამ გარემოებით.

ჩვენს ისტორიაში ოქროს ასოებით უნდა ჩაიწეროს, რომ რუსეთის დროებით მთავრობაში ერთი წევრი ქართველი დემოკრატის წარმომადგენელი იყო.

ვინ შეეძლო ჩვენი სულის სიძლიერე, ვინ გვარგუნა ეს უფლება, ვამაყობდეთ დღეს ჩვენის თავით?

თქვენ, ამხანაგებო!

ქართველმა მშრომელმა ხალხმა, ქართველმა დემოკრატიამ აამაღლა ჩვენი სამშობლო იმდენად, რომ რიცხვით მცირე ქართველი ერი რუსეთის დროებით მთავრობას ერთ საუკეთესო წევრს აძლევს.

კარლო ჩხეიძის სახით დიდმა რუსეთმა პატარა საქართველო მიიწვია და ეუბნება მას: შენ აუცილებლათ საჭირო ხარ, რომ მე განვახლდე და დემოკრატიული წყობილება მოვიპოვოთ.

ამხანაგებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ რომ მარტო ამით დაკმაყოფილდეთ, თქვენს მოწოდებას, თქვენს დანიშნულებას, თქვენს მოვალეობას სამშობლოს წინაშე უღალატებთ: თქვენ ვალდებული ხართ, თქვენ ისტორია გიკარნახებთ, თქვენი დიდი საქმე ბოლომდი მიიყვანოთ და თქვენს მშობელ ერს მოუპოვოთ ისეთი წყობილება, ურომლისოთაც მას არ შეუძლია განახლებულ რუსეთში განვითარება.

ეს არის ტერიტორიალური ავტონომია განახლებული რუსეთის მფარველობის ქვეშ.

თქვენ ეს შეგიძლიათ, თქვენ ვალდებული ხართ, ეს შეასრულოთ.

მთელი სამშობლო თქვენ შემოგყურებთ, მთელი ჩვენი ისტორია თქვენ მოგზერებია.

დიდებული ხართ, ამხანაგებო, დიდებული დარჩით ბოლომდე.

საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია არ ეწინააღმდეგება ქართველი დემოკრატიის საბოლოო მიზანს, პირიქით ის ხელს შეუწყობს ქართველი დემოკრატიის ზრდა-განვითარებას.

საქართველოს ტერიტორიალური ავტონომია არ ეწინააღმდეგება რუსეთის პროლეტარიატის საბოლოო მიზანს.

მაშ რატომ არ უნდა გაისმას თქვენი პირიდან მედგარი ჰეეა:

ბაუშრჯოს საქართველოს ტერიტორიალურ ავტონომიასო!

უნდა გაისმას და მე მრწამს, რომ გაისმის.

ამას ითხოვს თქვენგან თქვენი დაჩაგრული სამშობლო, ამას გავალებთ თქვენ ჩვენი ისტორია.

თქვენ ამით არასფერს ახალს არ მოსთხოვთ განახლებულ რუსეთს,—თქვენ მოითხოვთ მხოლოდ იმის დაბრუნებას, რაც ძველმა რეჟიმმა წაგვართვა.

განახლებულმა რუსეთმა მოსპო ძველი რეჟიმი, დაიბრუნა და აღადგინა თვისი უფლებანი.

ის ვალდებულია, მან უნდა დაგვიბრუნოს ის უფლებანი—ქართველი ერის უფლებანი, რაც ძველმა რეჟიმმა წაგვართვა და ფეხქვეშ გათელა.

მესმის, თქვენ ამბობთ, ამხანაგებო, სამისო დრო არ არის, დღეს ცალკე ეროვნებათა უფლებაზე ლაპარაკი უალგოოთ.

არც მე გეუბნებით, რომ დროებით მთავრობას მიმართოთ. თქვენ დღესვე უნდა შეუდგეთ მზადებას და, როდესაც დამფუძნებელი კრება შესდგება, წარსდგეთ მის წინაშე და მოითხოვოთ ქართველი ერის ფეხქვეშ გათელილ უფლებათა აღდგენა.

ამხანაგებო, თქვენ გახარებთ თავისუფალი რუსეთი.

ნუ თუ თქვენს გულს თავისუფალი საქართველო ნაკლებათ გაახარებს?

მაშ იცოდეთ, რანაირათაც უნდა განახლდეს რუსეთი, საქართველო ვერ განახლდება, თუ მან არ დაიბრუნა, არ აღიდგინა, რაც მას წაართვეს:

ტერიტორიალური ავტონომია რუსეთის მფარველობის ქვეშ.

ამხანაგებო! თქვენ სისხლსა ღვრიდით რუსეთის განახლებისათვის.

და დღეს, როდესაც რუსეთი განახლდა, ნუ თუ ხმას არ აამაღლებთ თქვენი სამშობლოს ფეხქვეშ გათელილ უფლებათა აღდგენისათვის? **ივ. გომბარეული**

საღეისო

ამ წელმა ისეთი გაზაფხული მოუტანა რუსეთს, რომლის მზგავსიც ისტორიამ ძალიან ცოტა იცის.

მართალია, ძველ მთავრობას ძველი რეჟიმი ისეთის სწრაფის ნაბიჯით მიჰყავდა დალუბვისკენ, რომ მისი დღეები დათვლილი იყო და ამის გამოსაცნობათ დიდი წინასწარმეტყველება არ იყო საჭირო, მაგრამ თუ ეს ასე სწრაფათ მოხდებოდა, სწორეთ წარმოუდგენელი იყო.

დარწმუნებული ვიყავი, ძველი რეჟიმის დროზე დასამხობათ საჭირო იყო რომ რუსეთი დასჯახებოდა რაიმე ძლიერ გარეშე ძალას. ასეთ ძალათ იქცა გერმანიასთან ომი, რომელმაც გამოაქვეყნა, გამოაშზეურა და ყველასათვის აშკარა გახადა ძველი წყობილების მთელი გახრწნილება

ასეთ არა ჩვეულებრივ დროს, როდესაც მამულის კეთილდღეობის მილიონობით ეწირებიან რუსეთის მოქალაქენი, ძველი მთავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რობა რუსეთსა ჰყოდდა, ჰყოდდა აშკარა-ურცხვად.

როდესაც საზინელმა ღალატმა სახალხოში იჩინა თავი, როდესაც დამტკიცდა, რომ დედოფალი, რომელიც ასეთ დროს უნდა ჰყოფილიყო ნამცვალი დედა მთელი რუსეთისა, ნამდვილი მთელ რუსეთს ყლაპავ სჩრიდა, მოთმინების ფიალა ივსო და ჯარმა შეასრულა თვისი მოვალობა მამულის წინაშე.

ქება და დიდება, უკუდვანი სახელი რუსეთის უკადვა მხიდრამ ს!

პირველი სამარცველი რუსეთის დიდი რევოლუციასა მუშა ხალხნა ჩაჰყარა.

ცხრაას ხუთი წელი რევოლუციის ჩაქრობითა და მუშა ხალხის დამარცხებით დამთავრდა.

ამაში ბრალი მუშა ხალხსაც მიეძღვის. მართალია, სარევოლიუციო ვალზე პირველი როლს მუშა ხალხ თ მ ოზდა, მ გრამ ყველ სხვ ბიც ო ომ ლ ებიც მუშ ხ ლხ ხელს უწყობდნ, ასე თუ ისე ეხმარ ბოდნ.

როდესაც მუშა ხალხმა მტრ ს პირველი სანგრები აიღო, ნან დაიგ წყა მოკ ვშირენი, თანამგრძნობნი და წამოაყენ ისეთ მოთხოვნილებანი, რევოლუციის მიზანი ისე ფართოთ დაისახა, რომ სხვების მიზანი სრულებით დაჩრდილა და მოსპ.

მოკავშირენი და თანამგრძნობნი შეშინდენ, დფრთხენ, მუშა ხალხს სწრაფათ ჩამოშორდენ. ბრძოლის ვალზე მუშა ხალხი განმარტ ბულთ დარჩა და ეულათ დარჩენილმა ბრძოლა წაგო.

რამ დაამარცხა ცხრაას ხუთი წელს რევოლუციი?

სარევოლიუციო ძალთა დაკ �ვამ.

იგივე შ ცდომა თუ დღისაც განმეორდა, კონტრრევოლ ცია უკათოთ წამოჭყოს თავს და დროებით კიდეც ვიმარჯვებს.

ვინ დაამხო დღეს ძველი რეჟიმი?

ჯარმა, მუშა ხალხმ და ბურჟუაზიამ.

შემ ედარი იქნება ის, ვინც იფიქრებს, ვითომც რუსეთში რევოლ უცია დამთავ ებულიყოს. ჯერ მხოლოდ ძველი მთავრობა დამხო.

ძველ მთავრობას, ძველ რეჟიმს ყველ გან ბევრი მომხრეები ჰყავს. ამ მომხრეების დამორჩილება და ალაგმვა, მთელი ძველი სისტემის ახლით შეცვლა დიდ დროს, დიდ შრომას, დიდ გამჭრიახობას ითხოვს და სანამ ძველი სრულებით არ დაიმხობა და მის ნანგრევებზე მტკიცეთ არ დამყარდება ახალი, სრულ და საბოლოო გამარჯვებაზე ლაპარაკი ნაადრევია.

ამიტომ სამივე მებრძოლს—ჯარს, მუშა ხალხ ღა ბურჟუაზიას—დიდი სიფრთხილე მართებს. მათი საბოლოო, შორეული მიზანი სხვა და სხვა არის, მაგრამ თუ ეს დღეს გაიხსენეს, ეს გამიზეზებ ს მათს გათიშვას, სარევოლიუციო ძალთა დაქს ქვას და ეს კი ხელს შეაწყობს კონტრ რევოლუციის წარმოშობას და გაძლიერებას. სამივე მებრძოლმა დიდხანს უნდა იაროს ერთათ ამიტ ომ მათ ჯერჯერობით ს ულმ ბილი უნდა დაიგ წყონ, რა განსხვავებაა მათ შორის და ა ბ ოვდეთ მხოლოდ ის, თუ რა აერთებს, რა ამოქ ედებს დღეს სამივეს ერთად.

სამივეს ერთად ამოქმედებს ძველი რეჟიმის სრული დამხობა და მის ალაგს დემოკრატიული წყობილების დამყარება.

ეს დიდი მიზანი აკავშირებს სამივეს.

მართალია მუშა ხალხისთვის არ არის საბოლოო მიზანი, მუშა ხალხის საბოლოო მიზანია სოციალიზმი.

სოციალიზმი კი ბურჟუაზიის საპარეა და ამიტომ არაფერი მას ისე არ აშინებს, როგორც ამ საბრის დანახვა.

აქედან ცხადია შემდეგი:

თუ მუშა ხალხმა წამოაყენა ისეთი მოთხოვნილებანი, რასაც სოციალიზმის ნიშნები ეკნება, ბურჟუაზია მუშა ხალხს უსათუოდ ჩამოშორდება.

ეს კი საერთო დემოკრატიულ წყობილების დამყარებას დაღუპავს.

განცალკევებულთა მუშა ხალხმა არ უნდა წამოაყენოს არც ერთი მოთხოვნილება. ყოველი მოთხოვნილების წამოყენებას, ყოველი ნაბიჯის გადადგმა წინ უნდა უძღოდეს სამივე მებრძოლის თანხმობა და სრული ერთსულოვნობა.

ერთად მოქმედება, თანხმობა უსათუოდ ითხოვს არა ჯაუტობას და დაჟინებას, არამედ დათმობას. თუ მუშა ხალხმა დაჟინებით წამოაყენა თვისი საკუთარი მოთხოვნილებანი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარმა თვისი, ბურჟუაზიამ თვისი, თანხმობა დაირღვევა და მტერი უსთუოდ წამოჰყოფს თავს.

ყველაზე მეტი სიფრთხილე, წინდახედულება და გამჭრახობა ამ მხრივ მუშა ხალხს ჰმართებს, რადგანაც ის უფროსია, უფრო ხნიერი და გამოცდილი მებძოლია.

თვისი საბოლოო მიზანი მან ყოველ დროებით უსათუოდ უნდა დავიფაროს და მთელი თვისი ძალღონე მოიხმაროს ჯართან და ბურჟუაზიასთან ერთად და თანხმობით მოქმედებით დემოკრატიული წყობილების დამყარებას.

დრო მეტათ სერიოზულია, მეტათ დიდი სიფრთხილე, სიფრთხილე, სიბრძნე, წინდახედულობა თავდავ წყებაა საქირო.

გაუმარჯოს ჯარს, გაუმარჯოს მუშა ხალხს, გაუმარჯოს მებრძოლ ბურჟუაზიას.

ალ. ...

განთიადის სვედა

მაშინ, როდესაც უკანასკნელი გამარჯვებას ღიღსსწაულობდა ძლევამოსილი განთიადი...

მაშინ, როდესაც მახარობელი შუქურაც კი სიხარულის ალში ინთქმებოდა და მშვენიერი ალმოსავლეთი ოკროსფრად იქარგებოდა...

მაშინ, როდესაც ჯალასნი ბულბული მშვენიერების სამარადისო ჰანგებს აწყობდა და ფრინველთა მეფეც გმირული სიმღერით ესალმებოდა თვალუწვდენ მთებს და მაღლა ცაში მიიჩქაროდა, რომ იქ, მხოლოთ იქ ეთქვა თავისი მშვენიერი სიმღერა...

მაშინ, როდესაც სიხარულის ბურანში გახვეულს სიყვარულისა და ალმფრენის ფრენები მესხმებოდა, სიიდგანღაც გაჩნდი შენ ჩემთან და მწუხრის სიმღერა მიმღერე...

მსწრაფელ ზამთრთა აღუფრენა და ჩემს სულს ეწვია წმინდა სვედა...

წმინდა სვედა განთიადისა...

და ყოველთვის, როცა ჩემს სულსა და გულში კვლავ ცოცხლდება დიდებული სანახაობა...

როცა ფრთაშესხმული ოცნება სიყვარულისა და თვისუფლების ქვეყანაში მიმფრენს, შენ ისევ ჩემთანა იხდები და მწუხრის სიმღერას მიმღერი...

და მეფლინება წმინდა სვედა...

წმინდა სვედა განთიადისა...

ეხ, რა ვიცოდი, თუ განთიადისას მწუხრის სიმღერას მიმღერებდი...

რა ვიცოდი, თუ განთიადთან ერთად მწუხრიც შემომპარებოდა...

რა ვიცოდი...

რა ვიცოდი?..

ლ. ძიძიგური

ქართული ეკლესია და სამღვდელოება

(იხ. „თეატრი და ცხოვრება“ № 9)

1801 წელშიაც საქართველოს მმართველებს ნაბძანები ჰქონდათ სამღვდელოებისა და ეკლესიის მოწესრიგებისათვისაც ეურჩდებაა მეექვსეთ, მათ კეთილდღეობაზე ეზ ეუნო, მაგრამ საქართველოს არც ერთს კაშეებელს თითიც არ გაუძრავეეა ამ დაკანონების ასრულებისათვის მხადდ ვარდან ექსარხოსისა და ტფილისელთ დრის აწეეს ზრუნეა, მაგრამ ეს ზრუნვა ადმოსავლეთ საქართველოში გამოიხატა ეპარქიების და მონასტრების შეოკლებაში. ქართველებსობის დრას ადმოსავლეთ საქართველოში ცამეტი ეპარქია იეო: მცხეთისა, ტფილისა, სამთავროისა, რუისისა, წიდენკისა, სამთავისისა, ურბნისისა და ნიქოზისა—ეს ქართველნი; კახეთში: ალავერდისა, ნინოწმიდისა, რუსთავისა, ნეკრესისა და ბოდბისა. ცხრა საარქი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუდელოებმა არაფერი არ გაუკეთებია, ვითომ ქრისეველი სამყველელოება კეთესოდებელი იყო და არ ძალ ეყვა ქალაქება და მოქეცეა თოის ხალხებისა, რაოდენიც კერპები სტემდა თაყვანსა, მაგ. ისაი. ტორმასოვის ასეთი ახრი ქრისეველ სამყველელოებაზე ერთიან კანაკაზებეული იყო იგი წყენი სამყველელოების მისიონერეელ მოდგაწეობის სრულიადაც არ იტინდა, ამიტომ ამის გეგონა, რომ ქრისეველ სამყველელოებს უნარი არ შესწე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმასრულებელი კომიტეტი

სია და ვინაობა სხვაგზეფოფ სათათბიროს იმ წევრებისა, რომელიც ამა წლის თებერვლის 27 სხვაგზეფოს ძალა-უფლება ხედო იგდეს:

1) **როძიანკო**, მიხეილ ვლადიმერის ძე, სხვაგზეფოფ სათათბიროს თავმჯდომარე, კეკტერინოსლავის გუბ. დეპუტატი, ოქტომბრედი, უმაღლესი კერის კანონგრეი, დაბადა 1859 წ.

2) **კეენსკი**, ალექსი თეოდორეს ძე, ნაფიდი ვექილი, სარატოფის გუბ. დეპუტატი, შრომის ჯგუფის მესვეური (დიდერი), დაბადა 1881 წ. შეენიერი ორატორია და მშრომელ ხალხში დიდი სასეფი აქვს მოპოეტხედი. დენის ამბების დროს მოიარა ფენის ოქრის მაღნები და საქმე გამოიძია. ახლა მთავრობაში სასჯელმეტეველი (ოფიტიციის) მინისტრად მიიწვიეს.

3) **ჩხეიძე**, ნიკოლოზ (კარლო) სიმონის ძე, თბილისის გუბერ. დეპუტატი (მესამე სათათბიროშიაც იყო), თბილისის ხმასხვა ნამეოფ. სოციალდემოკრატი (მეუმცარესე), მარქსის მოძღვრების სუფეფოსა მეოდნე, დიდი განეთორებული, ეუბადილეტი და მეშეაში დიდ სახეგმიმპოებელი, სახე. სათათბიროს სოციალ დემოკრატიულ ფრაქციის მესვეური (დიდერი). გაბეფული და შეეფრეკელი ორატორია. დაბადა 1863 წ. სოფ. ფეფოს, კალეეეთის სახ. ბორანნის მაზარში.

4) **შულგინი**, ვასილ ვიტალის ძე, ფოდინის გუბ. დეპუტატი (2, 3-ე იყო), კარ. „ეკონომიანინ"-ს ხედმძღვანელი, სიეიანსალეტი. ბეელისის საქმისა და ბაში კაკალანთ ძალზე კამეშრეტენელ. დაბ. 1878 წ.

5) **მილიუკოვი**, პავლე ნიკოლოზის ძე, ეეტრაგრადის დეპუტატი (მე-3-ეშიც იყო), კადეტთა პარტიის მესვეური (დიდერი), კარ. „რეჩის"-რედაქტორი, ნიეეეური ისტორიკოსი, ეეეფლეტეტი და კარეი ორატორი. დაბ. 1859 წ.

6) **გარაულოვი**, მიხეილ ალექსის ძე, თერეკის ოდქის დეპუტატი (მე 2-ე სათათბიროშიც იყო), ადვოკატი, დაბ. 1872 წ. ისტორიკოსი თერეკის ეარხეთა დაშეკრისა, თერეკის ოდქის სეერობა კანონმდებლეტის თანამანი.

7) **კონოვალოვი**, ალექსანდრე ივანეს ძე, კოსტრომის გუბერნიის დეპუტატი, სამანეფეტქეფოფ კარხნის პატრონი, სახეგმწეფოფ სათათბიროს თავმჯდომარის ამხანაგად ნამეოფი, სამხედრო სამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარე, დაბ. 1875 წ. სავეკრო-სამრეწველო მინისტრად მიწვეეული.

8) **დმიტრიუკოვი**, ივანე ივანეს ძე, კალეეეთის გუბ. დეპუტატი, ოქტომბრედი, სახეგმწეფოფ სათათბიროს მდგანი, დაბ. 1872 წ.

9) **რეევსკი**, ვლადიმერ ალექსის ძე, მოსკოეთის გუბ. დეპუტატი, ტონიმდეი სეერობა მიდგეწეა, ბრეგეესტი, სახეგმწეფოფ სათათბიროს სამეფეტო კომისიის თავმჯდომარის ამხანაგი, კარეფულ წ�ეს ნეეენი იყო სეერობა მასალების შესეერებად, დაბ. 1856 წ.

10) **შიდლოვსკი**, სერგი ილიოდორის ძე, ეეორანეეის გუბ. დეპუტატი, ოქტომბრედი, ბრეგეესტეფულ ადგილის თავმჯდომარე, მესამე სათათბიროშა თავმჯდომარის ამხანაგი იყო, დაბ. 1861 წ.

11) **ნეკრასოვი**, ნიკოლოზ ბესარიონის ძე, ტომსკის გუბ. დეპუტატი, (მე-3-ეშიც იყო), ტომსკის ტეხნოლოგიეეენ ინსტიტუტის სტატისტიკის ბრალეფესორი, მეშრეტხენე კადეტი, აწინდელი სათათბიროს თავმჯდომარის ამხანაგი. დაბ. 1879 წ.

12) **ლვოვი**. ვლადიმერ ნიკოლოზის ძე, სამარის გუბ. დეპუტატი (მე-3-ეშიც იყო) ეეტრის ჯგუფეფლა, სეეკლეფსა საქმის მეფიდნე, დაბ. 1872 წ. ახლა სამინისტროშა მიწვეეული სანდალ ობერ-ბრალეკურობად.

დამარცხდა

დამარცხდა დემონი—ვეღარ ხარხარებს,
დამარცხდა, დამცირდა ზეშთა ცაბაცახებს!

—

ვინც გეშინ გვტანჯავდა—დღეს იგი კვდება
ტანჯულ-წამებული აწ მკვდრეთით სდგება.

—

დაიმსხვრა ბორკილი უსამართლობის
ხმა ისმის მედგარი ძმობა-ერთობის!

—

ზეიმობს ქვეყანა, მთვარეც და მზეცა,
და იმათ ზეიმში მსურს ვიყო მეცა!..

ზ. ზემო-ხანდაკელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველები სახელმწიფო სათათბიროში

პირველი სათათბირო. 1) ი. ა. ბარათაშვილი, 2) ნოე ჟორდანია, 3) მ. ს. ჯაფარიძე, 4) ი. რამიშვილი, 5) ივ. გომართელი და 6) ს. წერეთელი.

მეორე სათათბირო. შუაში—კაკი წერეთელი, მარჯვნივ—სვე. ჯუღელი, მარცხნივ—არ. ლევ. ჯაფარიძე, ზევით—ბ. თ. მახარაძე, ბოლო ლომთათიძე, ქვევით—კ. კანდელაკი და ნ. ა. კაციაშვილი,

ევგენი გეგეჭკორი. (მე-3 სათათ.)

ვ. ჭელოვანი. (მე-4 სათ.)

ნ. ჩხეიძე (მე-3 და 4 სათათ.) აკაკი ჩხენკელი (მე-4 სათ.)

წითელი დროშა

ხალხთ უფლების მზეე! შვენებაო, სულის შუქურავ!
უკვე იცინი სიცოცხლისა მკვერაო ქურავ?!
დასწვა, თუ-კი რამ დარჩა კიდევ მოძველო ძანგი
და გულს ასმინე სულ ახალი ნეტარი ჰანგი.
თავისუფლების ქარი, ჰაჰა, ვხედავ გრიალებს,
წითელი დროშა, საყვარელი უკვე ფრიალებს!..

ს. ერთაწმინდელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი მთავრობა

თავ. გ. ლ. ლეონი (1)—პირველი მინისტრი, ერობათა კავშირის თავმჯდომარე; ა. თ. კერენსკი—(10) მინისტრი იუსტიციისა ვ. მილიუკოვი (4)—გარეშე საქმეთა, ა. ნეკრასოვი (5)—ზღათა, ა. კონოვალოვი (8)—ვაჭრობა-მრეწველობისა, პროფ. მანუილოვი (11)—განათლებისა. ა. გუჩკოვი (2)—სამხ. ტრო, შინგარევი (9)—მიწათ-მოქმედებისა, ტერეშჩენკო ( )—ფინანსთა, ი. გოდნეკი (11)—სანემწიფო კონტროლიორი, ვ. ლ. ლეონი(7)—სინოდის ობერ-პროკურორი, ნიდერეკი (6)—ფინლანდიისა.

დაქმნა ძველი—გაუმარჯოს ახალს!

იფიკი ბრძანი
ვითარცა ჯველ!

მოკალაქენო ქრისტე აღსდგა!

ქრისტე აღსდგა მონობის მძიმე უღელქვეშ სულშეხუთულო, დღემდე ბალეზად ანუ თავდაზნაურად წოდებულო, მუშავ და ჯარისკაცო!

დღემდე ყურმოჭრილ ყმად მიჩნეულო ქვეშევრდომო, აწ თავისუფალო მოქალაქენ!

თებერვლის 27-ს, სწორედ შუაღამისას, გაიყარა ძველი და ახალი რუსეთი.

ძველმა განისვენა, ახალმა მზეებრ იწყო ანთებაში!

და განანათლა ყოველი კუთხე-კუნჭული რუსეთის წამებულ ქვეშევრდომთა გულნი!

ბაგეთა ჩვენთაც აღეხსნა მძიმე ბოკლომი.

რუსეთის თვითმპყრობელი ბატონი ნიკოლოზ მეორე ტახტიდან გადადგა შვილიშურთ, მისმა ძმამ მიხეილმაც არ ისურვა მეფობა, ვიდრე ერის დამფუძნებელი კრება—ხალხის საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარული კენჭის ყრით არჩეული წარმომადგენელნი არ მისურვებენ მეფედო. ამ მიზეზით სამეფო ტახტი არ მიიღო და რუსეთის სახელმწიფოს ბედ-იღბლის გამგეობა იკისრეს ქვეყნის რჩეულ შვილთა, სახელმწიფო სათათბიროს აღმასრულებელმა კომიტეტმა, მუშათა დეპუტატების სუბჭოსა და მათის თანხმობით შემდგარმა პასუხისმგებელმა საჭინისტრომ!

ყოველივე ეს მოხდა 24 საათის განმავლობაში.

დღეს რუსეთი თავი უფალია!

რუსეთის აწინდელმა მძიმე განსაცდელმა ქვეყნის სამართავად დაკავშირა სულ სხვადასხვა ბანაკის წარმომადგენელნი: ოქტომბრელები, კადეტები, სოციალ-დემოკრატები, შრომის ჯგუფელები, ნაციონალისტები, პროგრესისტები და სხ. ხელი ხელს მისცეს, პირიპირსა, ამათ ბგერეში ამოუდგა მუშა ხალხი ჯარითურთ, ეტაკენ ძველ წყობილებას და დაამხეს კედელ...

ასე მოიქცნენ მას შემდეგ, ოდეს დარწმუნდენ, რომ ცალკ-ცალკე ულონონი იყვენ!..

გაუმარჯოს! მათ მიზანს!

თავისუფალი და მტკიცე კონსტიტუციონალური რუსეთი ჩვენთვისაც უკეთესია, ვიდრე წინანდელი თვითმპყრობელობა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ მაძღარი მშიერის მდგომარეობას განა ოდესმე განიცდის!

მართალია, ახალი მთავრობის გეგმაშია ერთი გათანასწორებაც,—მაგრამ ქართველი ხალხისთვის ეს არა კმარა!

საქართველოს ძეთ წარსულსა და აწმყოში უდიდესი სამსახური გაუწიეს რუსეთს!

ქართველმა დემოკრატიამ ხომ საარაკო მხნეობა გამოიჩინა რუსეთის დემოკრატიის გაძლიერებაში!

ვინ იყენენ რუსეთის დემოკრატიის ბელადები სათათბიროში, თუ არა ქართველები?!

მოიგონეთ კაკი წერეთელი, ის. რამიშვილი, ე. გეგეჭკორი, წწინდელი—კარლო ჩხეიძე, აკაკი ჩხეველი და სხ.

მოიგონეთ უმანკო მსხვერპლნი: ჯოტი (ჯაფარიძე), ჯოლა ლომთათიძე, სევ. ჯუღელი, ლადო კეცხოველი მრ. სხ.

ვინ, ვინ აღავსო ციმბირის შორეული ქვეყნები საკუთარი ძალებით თუ არა ქართველთა ძეთა გატაკეცებულმა, თავგადადებულმა ბრძოლამ?!.

როგორც შინაურ სამოქალაქო ომში, აგრეთვე გარეშე მტერთან ბრძოლაში ქართველებმა დიდიაც რომ უზომო მსხვერპლი გაიღეს.

და ამისთანა თავგანწირულების ამაგს თუ შესაფერად არ დაგვიფასებენ, მაშინ თვით ქართველმა დემოკრატიამ—ხალხმა უნდა დაიფასოს.

ყოველთვის სხვისთვის ხომ არ უნდა ვაცხოთ კვერები!

როგორც დღემდე, დღეს შემდეგაც რუსეთის დემოკრატიას მხარდამხარ უნდა გვიყვეთ ყველფერში, მაგრამ ამავე დროს არ დავივიწყოთ ჩვენი ქვეყანა და მისი საჭიროებანი...

ეჭვს გარეშეა, რომ ადრე თუ გვიან საქართველოსაც ელირსება თვითმართველობა, მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიულ საფუძვლებზე დამყარებული... და რაც უფრო ადრე გამოვიჩენთ საკუთარი თავის ცნობის აღლოს, რაც უფრო ადრე შემოკრებენთ დემოკრატიულ მისწრაფებათა ირგვლივ და ახალ მთავრობას ზურგს გავუმაგრებთ, მით უფრო ჩქარა მივაღწევთ ჩვენს მიზანს.

განხეთქილება, დემოკრატიულ წრეთა შორის პარტიული კინკლაობა, სხვადასხვა ლოზუნგები, სხვადასხვა კერპები აწ აღარ გამოგვადგება!..

ისე უნდა მოვახერხოთ, ისეთი პირობები შევქმნათ, რომ საქართველოს მიწა-წყალი ქართველს ხელიდან არ გამოეცალოს. საკუთარში არ ეცილებოდენ, არც იგი ეცილებოდეს სხვას და თავის თავის გამგებლობის უფლებანიც მიენიჭოს.

სოციალ-დემოკრატი, სოციალ-ფედერალისტი, სოციალისტ-რევოლიუციონერი და სხვანი დღეს უნდა შემოკრბენ ისევე, როგორც სახელმწიფო სათათბიროს აღმასრულებელი კომიტეტის წევრნი ახალი მთავრობისაგან და მხოლოდ მაშინ ეღირსებიან ჩვენის გულის ნადების აღსრულებას!

ყველა ამ პარტიათაგანნი დღემდე სვა და სხვა გზით სახელოვნად ცდილობდენ ხალხის განვინცლობიერების: ერთმანეთს ხშირად ეკიშპპპიბოდენ კიდეც, დღეს ეს არ გამოგვადგება.

წუთი უმაღლესი განცდისა შეკავშირებას გვავალებს.

მოიგონეთ ტარიელ, ფირიდონ და ავთანდილ: სხვა და სხვა გზით მიადგნენ ქაჯეთის ციხეს, სადაც ნესტან დარეჯანი მოიკვლეს. ითათბირეს, ერთი გეგმა შეიმუშავეს და მერე, თუმცა სხვა და სხვა მხრით, ერთად ეჯახნენ და გაანთავიზუფლეს თვისი მზეძებნის საგანი.

ისე უნდა მოვიქცეთ ჩვენც.

დაე, ყოველმა შეგნებულმა მოქალაქემ მოახდინა ამბავი და ჩვენი საჭიროებანი თავის გულში ასწონ-დასწონოს და ისე იმოქმედოს...

მშობელი კი არ დაამწუხაროს.

მოქალაქენო! მოიგონეთ ცხრაას ხუთი და მისი მძიფრი შედეგები, ერთმანერთის დაუნდობლობა, რეაქციის გიმარჯვება და მისით დაწყებული ეგრედწოდებული მოძრაობის დაკვდომა, რომელმაც ორი ერთი და ორი ათასი შვილი ჩვენის ქვეყნისა გააცემინა ანუ სარჩობელაზე აიყვანა...

მოიგონეთ ესა და ყოველი ნაბიჯი გონივრულად და საზრიანად გადავდგათ.

ზურგი გაუმაგრეთ ახალ მთავრობას და მისგან დაწყებულ წყობილებას!

წესიერება, სამართლიანობა, თვისი საჭიროებათა შეგნება, სხვისი პატივისცემა და თვის უფლებათა დაცვა,—აი რით უნდა ვიხელმძღვანელოთ.

მეტი თვითმოქმედება, გარჯა და ნაკლები ფახიფუხი, ნაკლები სიტყვა!

სოფლის მშრომელო დევ-გმირო, დღემდე უენო-უუფლებო ქვეშევრდომად მიჩნეულო, კმარა, რაც სხვის საწველ-ფურად იყავი, სხვის ხელშემაყურებელ, უპატრონე შენს თავს: ოხან-მოთესე, ველ-მინდორს მაგრა მოეჭიდე, რომ გაძლე, მტერსა და მოყვარეს დახვდე...

სოფლის მოწინავევ, სულის ძალღონე გაიორკეცე და მხნედ, მხნედ შეებრძოლე ხალხის სიბნელეს, სიბეჩავეს...

ქართველო მორწმუნევ, უპატრონე თავსა შენსა!..

განქრა ბნელი, სალამი ნათელს!
დაემხო ძველი—ვაუმარჯოს ახალს!

თავისუფალი მოქალაქე

იოსებ იმედაშვილი

ცხადი სიზმარი

ვნახე სიზმარი უცნაური და საზარელი:
უცებ დამეხვა გარშემო ბნელი!
„ვინა ხარ, ვინა?—იდუმალი ხმა ჩამძახოდა;
თავს ვეღარ ვცნობდი, ვინ ვიყავი, აღარ მახსოვდა.
ვიგრძენ წუხილი' ვიგრძენ ტანჯვა, ვიგრძენ ობლობა,
მთელ არსებობას მიწყლულებდა უსამშობლობა.
„უცხო ტომი ვარ ყველასაგან ეს-ღა მესმოდა,
როგორც ლახვარი ეს ხმა გულში ისე მხვდებოდა.
ვეძებდი მიწას, მოვიარე ზღვა და ხმელეთი,
ოქროს ქვეყნებიც ჩემთვის იყო შავი, ბნელეთი.
ერთ ალაგიდან ახლა კიდევ სხვაგან გავწიე,
ვერსად მოვთავსდი, ჩემი წადილი ვერსად დავტიე.
სადაც ქართული დედა-ენა მე არ მესმოდა,
სევდით მოცული გული ყველგან შემომკვნესოდა.
საიდან? როგორ? ნუ თუ მართლა მიწამ არ მშობა?!
მაშ როგორ გავჩნდი? ან ვინა ვარ? ან რა მეხმობა?!
გამოვერკვიე, გამოვფხიზლდი მთლად, ნაწვალები,
მომესმა ტკბილი ხმა ნაცნობი თეძმის შხუილი:
გმადლობ, უფალო, რომ სიზმარი იყო ტყუილი.
ჩემო სამშობლოვ, ვეღარსად დამემალები,
სადაც ვიშობე მე იმ მიწას ვენაცვალები.
შუა ქართლია ჩემი დედა აქ ვარ შობილი,
სხვა ყველა გარე სტუმარია შემოსწრობილი.
ვინც დააფასებს პურ-მარილსა—ვაშა, დიდება,
ჩემი სამშობლო მოყვას-მოძმეს არ ერიდება.
ტკბილი ქართული ჩემი ღვიძლი დედა-ენაა,
მისი შელახვა, საკუთარი ჩემი წყენაა.
აქ დამკრა მზემა და ნიავმა მე აქ დამბერა.
ამავე მიწამ შემაზავა, სული შთამბერა.
ესეა ჩემი წმინდა რწმენა შეურყეველი.
ამას ვწერ გიგო **ხეჩუაშვილი-თეძმისხეველი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცნება და სინამდვილე

მეფე ვარ მეფე, როცა ვოცნებობ
და ვმღერი, ვმღერი ალტაცებული:
ცაში დავფრინავ, ცაში ვნავარდობ,
ვარსკვლავ-მეგობრესთან შეყვარებული.

—

მაგრამ, როდესაც დუხჭირ ცხოვრების
მე სინამდვილე წარმომიდგება,
მაშინ მემსხვერვა ფრთები ოცნების
და ყოველივე უეცრად ჭქრება!..

კ. ძიძიძე

ჩვენ და თეატრი

ფრ. ნიცშე თავის ერთ თავსახსენო ნაშრომის („ტრაგედიის დაბადება") წინასიტყვაობაში ამბობს: „ხელოვნება უფრო ძვირფასია, ვიდრე სინამდვილეო".

ეს დებულება ერთის შეხედვით თითქოს საკვირველია სინამდვილედ ისახება. როგორ! სინამდვილე, რომელიც ჩვენი ცხოვრების საფუძველია, რომელის ყოველი ასო კეთილშობილის წვრილ-ა ერსებისა და მოძმეებისს შეიტ ყვს, ანა უფრო ნაკლებ ფასსანია, ვიდრე ის, რაც ამ სინამდვილეს ასახიერებს?!. აი, ეს კითხვა უსაოუოდ წამოაწერინა, ვინც დებულებას ეთანხმა ან განსაკერეტ და განმარტებას მშრალ სიტყვებში გამოსახავს. მაგრამ ასეთი განმარტება უსუფოდ დარჩება, რადგან უსუფი იქმნება თვით ის, ვინც „ეთანხმა ან განსაკერეტ".

სინამდვილე მარდალ ყოფაზეა რამ ანალ, მას, როგორც ნაოელს, ჭეშმარტს, განმარტება ანა საჭირდება; იგი ი

ამ ორი მოსაზრებისაკენ გაბმილნენ ერთი დასაბამს: ძვირფასია სინამდვილე, მაგრამ უფრო ძვირფასია ხელოვნება. ეს დასაბამი კი სწორ ფორმას ფრ. ნიცშეს ფიზიოლოგიაში იღებს.

ფოფენიეგ ეს ორის გამოსატულებას მოდალნი ხელოვნებისა, როგორც მენტალის. ამ მენტალის, მოდალნი ხელოვნების ერთ ნაწილს, დ., გეგონია, უმთავრეს ნაწილს კი, ოპტრა შეადგენს. აქ რიგ ამ ნაწილის მნიშვნელობა ადგენრთო, დარწმუნებული ვარო ასხლს, ეუკოუს ეკერიფერს ვიტეფეთო, რაკან თვით ფრ. ნიცშეს ფრაზასაც კი—„ოპტრა ცხოვრების სანეკეა“—დიადი სიდრმეთით გეარდეკენს ოპტრას ამ მნიშვნელობას, რომელის ასხლა კანმარტეს სოფოდეს, შექსპირის, მიდერის, გოეტეს, მიდეერის და მრავალთა სხვათა შემნაკეშენი მოეფლის სიკრძეკ-სიიკანთიაც გეიხეტენ.

და ეს მნიშვნელობა შეტ ლიბერეიას უფრო ჩვენს ქვეყანაზეი უნდა ჭიბეიდეს ანარეკ ეა, სადაც ეუფმეეეიერეს ტრადიციულს და ეოფედიურ ფაქტებს თვით ცხოვრება ინეეეეს და ნაკლეკი ფენტაზია სეეერდეს ეა, სადაც ამ ფაქტების კანმსხეერებლეგ ეამოსეგ მოქნილ-ეამხელენ, ტენ-ეეეეტეს, მეკერეხდ, მეკრანიეერ, მეეეეეერეთეს და მხიარეულის ზამიერად შემეკრნიან სადეს შეეძლიან, სადაც ეეედამზეს ფეეეორეტიულ მხარეს თვით ჩვენი ქვეეეენის ეეეეწეეერეკეეესაბამდე ადეეეული ძეენერიეგ-მხატეერული მოქარგულობის შეიეეეს,—კანა ან ეენდა ინეეეს სრეული წამქეეზენიეიეს ანიეს, რომ ჩვენნა ოეეტერმა მალე ნახოს ის საზეიამო ეეერტილი, რომლის ინკეეეიეგ თვეს ეეეეეი ინერის, მაკრამ სრეულდ მალეწეეეს კი ჯერ თითქმეს ვერაკეი ეეეეე

ეროვნული ბიბლიოთეკა

◆ **უკვე შესდგა** პასუხისმგებელი სამინისტრო (სუფთათ მეცხრე კვეტლეზეს).

◆ **ბევრ ქალაქში** კაბალეგენეს პოდიტია, ყინულრმერია და სხ. მოსულები. ზოგი მოკაცნი ბრძოლის ველზე კიაკზანეს, ზოგი დიტუსდებულია.

◆ **თითქმის ყველა ქალაქში** ამბოხება სახალხო ურდოანი. რომელიც ახლა მოაყრებას ნდობის ეფესეებენ.

◆ **ლაბუტაღლეს და ციხეში ჩასვეს** ძველი მოაყრების ბუღალტრი—მინისტრნი ანუ ნამინისტრსენი: სუფთამდანოვი, ბორეკეენი, ბრიოტაბაზეი, მაკალეკოვი, ბარი, შეტაურეული და სხ.

◆ **ამნისტია** კეთდებოდა. ციხე-კიტორდეებიდან კანონიეთესუფდეს პოდიტიკური და სარეფუნებრივ საქმეებზე დასეფდნენ.

◆ **მოქალაქე კერენსკიმ**, იუსტიციის მინისტრმა, კანკანეულებს მოახლინა, სწრაფად კანონიეთესუფდონ კიტიმბერეული ნაგეუტეტენი ფ ადიდის პეტროსეკემოთ ჩიეკანონ ბეტრაგრაგს.

◆ **მეფის ნაცვალმა** ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ, რომელიც რუსეთის მხედრობის მოაყრესედეთის მეწყეეული, ახლი მოაყრების ადეთრ და ეკეულს მოეწოდეს, ახლი მოაყრების დაეშორედენენ.

◆ **ყარსი**—218 პოლემი, თბილისში ოთხშაბათს მარტის 8-ს, ადიდი მნიფეულეტეა მოახლინა. მოეული ყარი ოფეეეთი ეფო შეიარეულეული, წეოფელი ადრეეთი ზედ წაეწერეთ: „ეკუმარკოს ახლა მოაყრებას“, „ეკუმარკოს თავი ეფეეეულ რუსეთსა“, „ეკუმარკოს თავილეფეეულებს“ და სხ. სარდლეეს ტოტსეულ ყარდის წეოფელი თავეკეულები ეკეთრთ, ზოგო წეოფელი დეენტეი ეკეთრთ ბმაზე კაკაკრეული.

◆ **ეარსის** ტანის ეფორსი და სხვა მოახლეენი დაეტუსდეენ.

◆ **თბილისის** პოდიტია შეიტეკეს, ბოდიტმეისტერი დაეტუსდეს, ბოდიტეთის ეფორსობა ბრაბ. კოკანს მიანდეს.

◆ **თბილისის** ადმინარეულებელი კომიტეტი შეიდეკ. მოაყრან ადმინარეულებელ კომიტეტში ირეულეთ: ნ. ჯორდანია, ეკსეკეეი, ერეზეკიანი, დიმიტიეძე, ხანიანი, ჩერნიაეეი, ს. ჭკაბრიშვილი, მაისურაძე, სიდ. ჯიბლაძე და ს. ...ბაძე.

◆ **ნოე ეორდანია** ირეულ იქმნა ეფეეე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინრალეგულნი, მარსელიოზის დაკვრით. მატინგზე ადმირალი ეფო ხუთი ტრიბუნა. ტრიბუნაზე მარჯვენად კაბინეტი შუშაა მხეგანი მოდგეზე სიდიბილტრო ჯიბეაძე, რომელიც ხელებ გაშლილი, თავმოხდილი მიესალმა ზღვა ხალხს. მეტის სიხარულით ადგილებიდა ძალვა ადმოსტეკა „ილსრულლა!“ ხალხმა მეტხარე ტაში დაკვრა. ეს ეფო ეფო უმაღლესი ნეტარების კინტლის ეფოა. შემდეგ ჯარისკაცთა და შუშაკან ამბენი მოდალბარკეკ ადმოჩნდა, რომ ბეგრი ბაეფრადი ოფიტორი არც კი გამოსულა სალაბარაკოდ. მატინგზე მოვიდნენ ეროი მოდგეგანაკ თავის შეარდებული ჯარისკაცებით და რეკოდიეფიორულ მაყრობას ერთგულ ხამსაბრი ტეუოკეკ; ტრიბუნაზე ავიდა კეკანსიის ჯარა შტაბის უფროსი კინეერალი ბოდოხოვიტინსკი და ჯარს მოეკოდა—ხალხს მაყრობას უერთგულდეო, ძველს სეკუნენდ კინეეგნოსა.

მატინგზე მოვიდნენ ეკრედეკ ახალი მოკრობის კინკარეგულეკით ტიხიდან კამოშეკეკული მოდიტეკენი.

მატინგი, შუშაა დეპუტატების სიბეკნა ხელმძღვანელობით, სალამს უძღვნის ახალს მოკრობასა და ადგენს:

1) ადეილობრივ სახალხო ორგანოებისაკენ შესდგენ მოკრობა.

2) კაბალეკენებულ იქნეს მოკლი ძველი ადმინისტრაცია და შინაური დაცვის საქმე კაბალეკენ ადეილობრივ ოკითმმართველობებს, სადაც ძველი მოდიტეკენები ბძოლის ველზე კიოკზანენ.

3) ჯარის ძველი ხელმძღვანელნი შეიტეკენ ახალ წესწეობიდების ერთგულ მომალეკარეთი.

4) ერთგენენი კათანსწორებულ იქმნენ უფლებით.

5) ეკენეკ მოდიტეკეკენ საქმეკებისაკენ დასაკეთა მიენეკნის სრული ამნესტია.

6) მოწეკეკ იქმნენ დამფეკენებული კრება სეკუნენდოთა, თანასწორ, მარდაბარ და ფირეკ სანარეკენო უფლებით, კანერეკენდ სქესისა.

7) დამფეკენებული კრება დაკეკენებდეკ უნდა შეეძლეს კონსტიტუციის კამოშეკენების ქ�-ენის მინობისაკენ კანთავსეკენდეკ და ზაკონსა და ამის საკითხს კაკაწეკეტს.

წამოეკენებულ იქმნა ბერდეკ დემოკრატიულ რესპუბლიკისა და საქართველოს ეტონომიის მოთხოვნილება.

დამწერი სიდელესწეკენო ედეფერი ედო.

ი—ი

ხმა ოფიციალურ

(ეგი მოწერილის გამო ის. „თ. და ც.“ № 4 1917 წ. „მოწოლილი ნაველი“)

გამარჯობა, ძმაო იოსებ!
ეა ახალ წელიწადი!..,
მოსწყალ ბეგმა ხამშეკიდობოს,
ვაშა მეშვეს, ვაშა მეზღვეურებს!...

ეხლა კი ბილოცავ, ძმაო, შობა-ახალწელიწადს—ადგილმიმი ხელი ხელ ჩაკიდებულებს, ვეწეკდებოდა მაოკენ თვალები და ადეერ რუსეთიდან მოდიან ხელი-ხელ გადაბვეულები. ამოვიდა რუსეთში თავისუფლების მზე და ჩვენი იქით ჩასული მზეც ხომ იქიდანვე უნდა ამოვიდეს...

ის, რაც მენტატრებოდა სამარეში მაინც ჩამოეძახნათ, სიცოცხლით ვეესწრები და ახლა ბედნიერი და, კიდევ მეტიც ბედნიერზედ ბედნიერი ვარ ძმაო, რომ წაველი არ ჩამყვება ახლა თეფდაც მოვკვდე, რადგან შორდება მზეს ვეშაპი, მიზეზი ცხოვრების ფრთონვისა, ამოსცურავს მზე ცის სიერცეზედ ყველასთვის სწორი და ახლა-კი ვსუნთქავ თავისუფლად. კარი ეღება მომავალს, აეშვება ამირანი!..

არ ჩამკნარა, აყვავდება ჩვენი ერის მომავალი,
არ მომკვდარა, ცოცხალია მიჯაჭეული ამირანი;
აეშვება, აივსება ჩვენი გმირების სავანი,
ხმალი კალმად შეიცვლება და უფლება-თანასწორი!..
მზე ამოდის ამაკეკეკეკეკ სითბომ...
ჯერ წელი გამითბეს კარგა!!.

დიმ. სოლოდაშვილი.

ს. ეკეკეთი.



მგოსანი

გ. ქუჩიშვილი

დღეს სახალხო სახლში სალიტერატურო დილას მართავს

ახალი კლუბი

1 კვირის პრომიერა მარტის 12-21

კვირა — რუსული წარმოდგენა. ბილეთები 50-30 კ.

ოთხშაბათი — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50

სამშაბათი — საოჯახო საღამო

ოთხშაბ. — სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ.

ხუთშაბ. — ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

პარასკ. — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე

შაბ. — საოჯახო საღამო

კვირა — რუსული წარმ. ბილეთ. 4-30 კ.

დამაფუძნები: კონცერტებისა საღამ. 9 სთ. წარმოდგენისა და სინემატოგრ. საღ. 8½ სა. შესახ. ფასი მანდილოსნ. 50 კ. მამაკაც. 1 მ.

ბარფეხის

საზოგადო **კლუბი**

ოთხშაბათი — სინემატოგ. სიმებ. ორკ.

სამშაბათი — სინემატოგრაფი: სიმებ. ორკეს.

ხუთშაბათი — ქართული წარმოდგენა,

ხუთშაბათი — ოპერეტა. რუსული ენაზე.

პარასკევი — საოჯახო საღამო

შაბათი — რუსული წარმოდგენა

კვირა — სიმებრნი. ორკესტრი

შესახვლელი ფასი: ქალები და სტუდენტები — 25 კ. მამაკაცნი 50 კ.

დაბაფუძნები: წარმოგენა — კონსერტების — სინემატოგრაფ — საღ. 8 ნახ. ს.

ეცხო სიტყვოა ლაქსი ონი

შედგენ. იოსებ ივანდაშვილის მიერ, მეორედ შეცვლილ-შესწორებული. მოვარაყებული ყდით, ხელის მოწერით ლირს 2 მ. 50 კ. გაგზავნა კიდევ შეიძლება: Тифлисъ. ред. „Театри да Цховреба“ — Іос Имедашвили.

ᲬᲬ. ᲛᲘᲘᲚᲔᲑᲐ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲠᲐ 1917 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲬᲬ.

ᲡᲐᲗᲔᲐᲢᲠᲝ ᲮᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ, ᲡᲐᲛᲐᲮᲐᲢᲕᲠᲝ ᲙᲕᲘᲠᲘᲡᲣᲚᲘ ᲞᲣᲠᲜᲐᲚᲘ

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

(ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ)

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲐ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ, ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲒᲘᲚᲘᲗᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲞᲘᲠᲗᲐ:

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝ ᲞᲘᲠᲗᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲓᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲗ

ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲛᲔᲠᲛᲔ ᲓᲦᲔ — ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲓᲦᲔ — ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲛᲔᲗᲮᲣᲛᲔᲢᲘ ᲓᲦᲔ — ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲛᲔᲥᲕᲔᲢᲘ ᲓᲦᲔ — ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲛᲔᲒᲝᲠᲘ ᲓᲦᲔ — ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲛᲔᲗᲠᲔᲛᲔᲢᲘ ᲓᲦᲔ — ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲓᲦᲔ

**ᲛᲔᲠᲕᲔᲚ